ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის
№75 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის
ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2021 წელს კორონავირუსის (კოვიდ-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მთავრობის დადგენილების თანახმად, მერიის ზედამხედველობის სამსახურში შექმნილი მობილური ჯგუფები, საქართველოს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა და მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და ინდ მეწარმეების გაფრთხილებაში.

2021 წლის 1-ლი იანვრიდან აქტიურად იყვნენ ჩართულნი შრომის ინსპექციასთან ერთად, ქალაქის ტერიტორიაზე კოვიდრეგულაციების დაცვის მიზნით, სასტუმროების, ავტობოქსების, სილამაზის სალონებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების შემოწმებაში.

ასევე, 2021 წელს სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მუშაობდნენ მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია – მოვალეობების შესასრულებლად.

კერძოდ:

2021 წელს, ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო არასაბაზრო წესით შემოსავლის გეგმა 562 000 ლარის ოდენობით. ზედამხედველობის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად, სულ ჯამში არასაბაზრო წესით შემოსულმა თანხამ შეადგინა 569 289,52 ლარი. მათ შორის: ქონების იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 362 000 ლარი; გარე რეკლამების განთავსების ნებართვებიდან შემოსულმა თანხამ და უკვე გაცემულმა გარე ვაჭრობის უფლების ნებართვის საფასურიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 207 289.52 ლარი.

2021 წელს, მიწის იჯარიდან შემოსავლის თანხა ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 80 000 ლარის ოდენობით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიწის იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 70 700 ლარი.

2021 წელს გაიცა გზის საფარის გაჭრის 194 ნებართვა.

გზის საფარის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვების გამო, გატარებული სანქციებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 2 000 ლარი.

2021 წელს, სხვადასხვა დარღვევებზე სამსახურის მიერ, შედგენილია 61 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ამ მიმართულებით დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 13 000 ლარი.

2021 წელს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უკანონო დაკავებაზე შედგენილია 3 საჯარიმო ოქმი, დაკისრებული ჯარიმა შეადგენს 2000 ლარს (გადაგზავნილია აღსასრულებად).

2021 წელს, გაცემულია გზის საფარის გაჭრის 62 ნებართვა.

2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით არასაბაზრო წესით შემოსავლის წლიური გეგმა სამსახურს განესაზღვრა 570 000 ლარით. 2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით შემოსულმა თანხამ შეადგინა 92 890,38 ლარი. მათ შორის: ქონების იჯარიდან – 74 521,38 ლარი; გარე რეკლამის განთავსების ნებართვიდან – 484 ლარი; გარე ვაჭრობის უფლების საფასურიდან – 17 885 ლარი.

2022 წელს შედგენილია 12 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლებიც გადაგზავნილია განსახილველად ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

ასევე, შედგენილია 17 საჯარიმო ქვითარი – დაკისრებული ჯარიმა შეადგენს 10 000 ლარს;

2022 წლის 31მარტის მდგომარეობით, გაცემულია გზის საფარის გაჭრის 61 ნებართვა, რომელიც გზის საფარის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით ყოველდღიურ კონტროლზეა აყვანილი.

2022 წელს მიწის იჯარიდან შემოსავალი ბიუჯეტით განსაზღვრულია 90 000 ლარის ოდენობით. 2022 წლის 31 აპრილის მდგომარეობით, მიწის იჯარიდან შემოსულია – 8018 ლარი.

2021 წლის ბიუჯეტით დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსავალი გათვალისწინებული იყო 1 800 000 ლარით. 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასუფთავების მოსაკრებლის თანხა, ბიუჯეტში შეტანილ იქნა 1 876 098. 06 ლარის ოდენობით. წლიურ გეგმაზე გადაჭარბება შეადგენს 76 098.06 ლარს. 2021 წელს სასამართლოში გაიგზავნა 45 სარჩელი მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო, სარჩელების მომზადების პროცესი გრძელდება. სასამართლოში სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვის მიზნით გაგზავნილია 71 გადაწყვეტილებაზე წერილი. 2021 წლის 33 საქმე შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გადაგზავნილია იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში.

2021 წელს უმეთვალყურეოდ მიტოვებული პირუტყვის დაკავებაზე დაჯარიმდა 109 მოქალაქე, დაიწერა 140 საჯარიმო ქვითარი (62 ქვითარი 20 ლარიანი (1240 ლარი), 78 ქვითარი 50 ლარიანი (3900ლარი). ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ შეადგინა – 5140 ლარი.

რეგულარულად ხორციელდებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დაცვის კონტროლი. 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით, მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე, გადამზიდავები განთავისუფლდნენ ნებართვების საფასურის გადასახადისაგან, რვა თებერვლიდან პირველ ივლისამდე არსებული დავალიანების ვადა საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №35 განკარგულებით განწილვადდა 2022 წლის ბოლომდე.

2021 წლის ბიუჯეტით ტრანსპორტის ნებართვის საფასური გეგმით გათვალისწინებული იყო 680 000 ლარის ოდენობით, 2021 წელს ბიუჯეტში შემოსულია 186 144,23 ლარი. შედგენილია 12 საჯარიმო ოქმი, 5ოქმი – 100 ლარიანი, 4 ოქმი – 300 ლარიანი, 3 ოქმი – 900 ლარიანი. სულ ჯამში 4400 ლარი.

2021 წლიდან 2022 წლის 2 მარტის ჩათვლით, სანებართვო პირობებთან დაკავშირებით მონაცემები გადაეგზავნა ქალაქის მერს შემდგომ რეაგირებაზე რეკომენდაციის მიღების მიზნით.

ავტოსატრანსპორტო შემთხვევებიდან დაფიქსირებულ იქნა მუნიციპალიტეტის ქონების დაზიანების ფაქტები.

2021 წელს დაფიქსირდა 6 ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, ერთ შემთხვევაში დამწაშავე მძღოლის მიერ სრულად იქნა აღდგენილი დაზიანებული მონაკვეთი. სამ შემთხვევაში ბრალეულმა მძღოლმა სრულად აანაზღაურა ზარალი. ორ შემთხვევაში ბრალეულ მძღოლს განესაზღვრა გრაფიკი მიყენებული ზარალის დასაფარავად.

2022 წლის დასუფთავების მოსაკრებელი ბიუჯეტით განსაზღვრულია 2 000 000 ლარით. 31 მარტის მდგომარეობით, შემოსულია 536 400,40 ლარი. 2022 წელს სასამართლოში გადაგზავნილია 14 ახალი სარჩელი მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო. სარჩელების მომზადების პროცესი გრძელდება.

2022 წელს შედგენილია 1 საჯარიმო ოქმი 900 ლარიანი. ერთი გადამზიდავი კომპანიის მონაცემები ხელშეკრულების შეწყვეტის მიზნით გადაგზავნილია მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურში.

პირუტყვის დაკავებაზე დაჯარიმდა 26 მოქალაქე. დაიწერა 44 საჯარიმო ოქმი. 25 ოქმი – 20 ლარიანი (500 ლარი), 19 ოქმი – 50 ლარიანი (950 ლარი), სულ ჯამში – 1450 ლარი.

2022 წელს დაფიქსირდა 7 ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, ერთ შემთხვევაში ბრალეულმა მძღოლმა სრულად აანაზღაურა მიყენებული ზარალი, ერთ შემთხვევაში ბრალეულ მძღოლს განესაზღვრა გრაფიკი ზარალის დასაფარავად. ხუთ შემთხვევაში განსაზღვრულია ზარალის ოდენობა და უკვე ეცნობათ ბრალეულ მძღოლებს.

2021 წელს სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევებისათვის ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი განყოფილების მიერ, დაჯარიმდა 197 სამართალდამრღვევი. 132 უნებართვო რეკონსტრუქცია – მშენებლობის გამო, ხოლო 65 – მშენებლობის პროცესში გამოვლენილი სანებართვო პირობების დარღვევისათვის. აღსრულებაში გადაიგზავნა – სანებართვო პირობების დარღვევისათვის 2 საქმე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულის ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – იურიდიულ განყოფილებაში 2 საქმეზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმის წარმოება. დადგენილება დაჯარიმებაზე გადაეგზავნა 11 სამართალდამრღვევს.

უნებართვო მშენებლობისათვის აღსრულებაში გადაგზავნილია 25 საქმე, იურიდიულ განყოფილებაში მიმდინარეობს 29 საქმის წარმოება. დადგენილება ჯარიმებზე გადაეგზავნა 38 სამართალდამრღვევს.

მშენებლობა შეუჩერდა 12 ობიექტს. მათგან 6 არ დაემორჩილა შეჩერების დადგენილების მოთხოვნებს, რის გამოც დაჯარიმდნენ 5000 ლარით. 2-მა სამართალდამრღვევმა გადაიხადა აღნიშნული ჯარიმა, 4 გასაჩივრებულია.

დანარჩენი გამოცემული დადგენილებები არის კანონით დადგენილ ვადებში, ვადის გასვლის შემდგომ ჯარიმის არ გადახდის შემთხვევაში მოხდება კანონშესაბამისი რეაგირება.

2021 წელს სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევებისათვის გადახდილი ჯარიმის თანხა შეადგენს 231 257.37ლარს.

2021 წელს ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 61 მშენებლობადამთავრებული ობიექტი.

2022 წლის 31 მარტის ჩათვლით, სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევებისათვის დაჯარიმებულია 46 სამართალდამრღვევი. მათ შორის: 18 სამართალდამრღვევი – უნებართვო რეკონსტრუქცია მშენებლობის წარმოებისათვის, 28 სამართალდამრღვევი – მშენებლობის პროცესში გამოვლენილი სანებართვო პირობების დარღვევისათვის.

მშენებლობა შეუჩერდა 2 ობიექტს. მათგან ერთი არ დაემორჩილა შეჩერების დადგენილების მოთხოვნებს და დაჯარიმდა 5000 ლარით, გასაჩივრებულია 4 დადგენილება.

2022 წლის 31 მარტისათვის სამართალდამრღვევების მიერ გადახდილი ჯარიმის თანხა შეადგენს 100 470.85 ლარს.

2021 წელს, ავტომანქანების დგომა – გაჩერების დადგენილი წესების დარღვევასთან დაკავშირებით, ჯარიმა დაეკისრა 419 მოქალაქეს. დაკისრებული ჯარიმა შეადგენს 18 740 ლარს. ჯარიმის სახით ბიუჯეტში შემოვიდა 16 827.75 ლარი.

2021 წელს ბიოდეგრადირებადი პარკების გამოყენების წესების დარღვევაზე შემოწმდა 34 სავაჭრო ობიექტი. შედგენილია 30 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. გაფრთხილდა 19 ობიექტი. დაჯარიმდა 11 სავაჭრო ობიექტი. დაკისრებული ჯარიმა შეადგენს 10 500 ლარს. აღნიშნული ჯარიმიდან შემოსულია 6000 ლარი.

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ბიოდეგრადირებადი პარკების გამოყენების წესების დარღვევაზე შემოწმდა 10 სავაჭრო ობიექტი. შედგენილია რვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. დაკისრებული ჯარიმა შეადგენს 7500 ლარს. ჯარიმიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 6000 ლარი. სასამართლო განხილვაშია 3 სამართალდარღვევის ოქმი, ამოღებულია სავაჭრო ობიექტებიდან 2855 არაბიოდეგრადირებადი პარკი.

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ავტომანქანების დგომა–გაჩერების დადგენილი წესების დარღვევასთან დაკავშირებით, ჯარიმა დაეკისრა 63 მოქალაქეს, დაკისრებული ჯარიმა შეადგენს 630 ლარს. 2022 წელს ჯარიმის სახით შემოვიდა 3110 ლარი.

2021 წელს სულ ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ შეადგენა 2 967 856.93 ლარი. 2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით ბიუჯეტში შეტანილია 748 339,63 ლარი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ზედამხედველობის სამსახური კვლავაც გააგრძელებს, როგორც ქალაქის მერიის მიმართ არსებული ვალდებულებების მონიტორინგსა და ზედამხედველობას, ასევე, სამსახურის დებულებით განსაზღვრული ფუნქცია – მოვალეობების შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

**შენიშვნა:** წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მ/წლის 25 მაისს, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა გუგა ნიკოლაიშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია